№ 56
კვირა, 11 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 56
კვარა, 11 მარტი, 1901 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი

კვირას, 11 მარტს,
თავ. რაფიელ დავითის ძის ერისთავის სახსოვრად
გამართული იქმნება სალიტერატურო საღამო.

I

ბიძიასთან გამოხუმრება

კომედია 1 მოქმედ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი მარ. საფაროვისა და ბ-ნნი ვ აბაშიძე, კ. მესხი, კ. ყიფიანი, ვ. გუნია და სხვანი.

II

თავ. აკაკი წერეთლის სიტყვა რაფიელის შესახებ.

წარმოთქმული იქმნება თვით აკაკისაგან.
ბატონ ფალიაშვილის ხორო შეასრულებს ქართულ სიმღერებს.

III

დივერტისმენტი

წაკითხული იქნება რაფიელის ლექსები და სცენები. წაიკითხავენ: ბ ნნი სტოფრონ მგალობლიშვილი, კ. მესხი და კ. ყიფიანი

დასასრულ

აპოთეოზი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

გამოვიდა ახალი წიგნი

სპარტაკი,

რომანი ჯიოვანიოლისა, თარგმანი ნ. ყიფიანისა. წიგნი „ქართ. შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება. ღირს სამი აბაზი. (3—55—3)

მკურნალი-ქალი

მ. ს. ზაქრაძე

ნაშუადღევის 1-დგან 2 საათამდე ავადმყოფს ბავშვებს ყოველ-დღე იღებს.

ელისაბედის ქ., სახლი № 25.

(10—6.—10)

სამეურნეო ბანკის

გამგეობა სთხოვს ამ ბანკის წევრთა მობრძანდნენ საზოგადო წლიურ კრებაზე, რომელიც დანიშნულია ბანკისავე დარბაზში თერმეტ მარტს, დილით თერთმეტ საათზე (სასახლის ქუჩა, სარაჯოვის სახლი).

განსახილველი საგნები:

1. საბჭოს მოხსენება წლიურ ანგარიშის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება იმავე საგნის შესახებ.
3. ანგარიში 1900 წლისა.
4. ხარჯთ-აღრიცხვა 1901 წლისა.

და 5. არჩევანი: ერთის დირექტორისა, თ. ვლ. ს. მიქელაძის მაგივრად, ორის საბჭოს წევრისა ნაცვლად ბბ. ი. გ. თულაშვილისა და ი. ბ. საგინაშვილისა და სამის სარევიზიო კომისიის წევრისა და მათის სამის კანდიდატისა. (2—6.—2)

ახალი ამბავი

⁂ დღეს, 11 მარტს, განსვენებულის მგოსანის თავად რაფიელ ერისთავის სახსოვრად, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ გამართული იქმნება თავად-აზნაურთა თეატრში სალიტერატურო საღამო. წარმოადგენენ „ბიძიასთან გამოხუმრებას“. თავ. აკაკი წერეთელი წაიკითხავს წერილს რაფიელ ერისთავის შესახებ; შემდეგ დივერტისმენტი იქმნება გამართული და, დასასრულ, აპოთეოზი. საღამოში მონაწილეობას იღებენ ქ-ნი საფაროვ-აბაშიძისა, ბ-ნნი კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ვ. გუნია და სხვანი.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ არჩეულმა საიუბილეო კომისიამ განიზრახა გამოსცეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია. ამ გამოცემაში ხუთი განყოფილება იქმნება: პირველს განყოფილებაში განმარტებული იქმნება ის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ისტორიულს მოვლენას (საქართველოს რუსეთთან შეერთებას, და მოხსენებული იქმნება, რომ 1801 წლამდისაც საქართველო სცდილობდა რუსეთთან დაახლოვებას; მეორე განყოფილებაში აღწერილი იქმნება ქართველთა ერის მოქალაქობრივ, სამხედრო და სულიერ ცხოვრების მთავარი მოვლენანი ამ უკანასკნელ ასის წლის განმავლობაში, ტფილისში დაარსებული სასწავლებლები, ქართულ თეატრის დაარსების ისტორია და თანდათანი განვითარება ქართულ ლიტერატურისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისა; მესამე განყოფილებაში შევა მოქალაქობრივ და ეკონომიურ ცხოვრების განვითარების ისტორია, გლეხთა განთავისუფლება, ხიზანთა კითხვა, სასამართლოს რეფორმების შემოღება და სხვა. მეოთხე განყოფილებაში მოთავსებული იქმნება სამხედრო ცხოვრების ისტორია: პირველ ქართველთა რაზმის შედგენა, ომიანობის დროს რა მონაწილეობა მიიღეს ქართველებმა და რა სამსახური გაუწიეს რუსეთსა და სხვანი; მეხუთე და უკანასკნელს განყოფილებაში შევა ბიოგრაფიული ცნობები გამოჩენილ სამხედრო და საერო კაცთა, რომელნიც დაეხმარნენ მთავრობას სხვა და-სხვა წეს-წყობილების შემოღების დროს და რომელთაც ხალხის წინაშე სამსახური მიუძღვით. ამ წიგნის შედგენაში ოცზედ მეტი კაცი იღებს მონაწილეობას. წიგნის ბეჭდვას ამ ცოტა ხანში შეუდგებიან.

⁂ თავმჯდომარეს ამავე კომისიისას მიუმართავს ჩვენის პედაგოგის ი. ს. გოგებაშვილისათვის, რომ განზრახულ საიუბილეო წიგნისათვის წარსულს საუკუნეში საქართველოში სწავლა-განათლების შესახებ დასწეროს წე-

---

ფელეტონი

წკიპურტი

ჩემი „ნედოიმკები.“ — ნაკვესისებური ამბავი.— ორი დევ-გმირი.—ტვინის დუღილი რას არ ათქმევინებს ადამიანს.— ბუმბერაზი კრიტიკოსი და მისი „ზრდილობიანი“ სიტყვა-პასუხი.—სახარბიელო ჯილდო.— „ხმა შორიდგან“ და „ხმა ახლოდგან“.—შეკმაზულ სიტყვათა ნიმუში.—რა იყო მოსალოდნელი და რა მოხდა.—კიდევ ერთხელ და უკანასკნელად თელაველი ქალები და „თელაველი ქალი“.—ჩემი კორესპონდენტი „ზესტაფონელი ქალი“.—ენა-მახვილი „ანიჩკა“ და მართლის მთქმელი „ტასო“.—„იშვიათი“ ყოფილა?!.

ჩამოვრჩი, დავცილდი ქვეყანასა და მისს ავ-კარგს. ჩვეულებრივ, როგორც ყველა ქართველს, „ნედოიმკები“ ამეკიდა და ანგარიში დროზედ ვერ გავუწიე. ან „წკიპურტის“ ავტორს რითი უნდა დაემტკიცებინა ქართველობა, თუ არ ამ „ნედოიმკებით“?!. განა იმასაც დიდი ჰო-არა უნდა, რომ ქართველი კაცი, თუ ისესხებს, ვალს დროზედ ვერ გადიხდის და ამ ვალად აღებულ ფულის „ნეუსტოიკა“ და „ნედოიმკა“ (ეს ორივე წყეული სიტყვა რაღა „ნე“-თი იწყება და „კა“-თი თავდება?! ვურჩევთ ჩვენს რითმა შეშლილს პოეტებს, გამოიყენონ ეს სიტყვები ლექსებში ჩასაქსოვებლად!) ერთი სამად უნდა წამოაწვეს კისერზედ. მაგრამ ვიდრე ბაასს განვაგრძობდე, აქ ერთი, ამ კვირას მომხდარი, ნაკვესისებური ამბავი გამახსენდა და გავუზიარებ ჩემს მკითხველებს.

ერთს ქართველს განათლებულსა და უკვე გაბიუროკრატებულს თავადიშვილთაგანს სასახლის ქუჩაზედ წამოეწია ვაჭარი და მუდარებით შესთხოვა:

— კნიაზჯან, ერთს კაცს ფული უნდა ვასესხო, ვიცი „ვექსილის“ დაწერა კარგად გეცოდინება და ერთი „ვექსილი“ დამიწერე.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ რადა გგონია, რომ „ვექსილის“ დაწერა „კარგად“ მეცოდინება?! ჰკითხა ამ სიტყვებით გაოცებულმა თავადიშვილმა.

— ვა, „კნიაზი“ და ვექსილის დაწერა არ იცოდეს?! შესძახა მისის გაოცებით გაოცებულმა ვაჭარმა.

ეს ლათაია, სხვათა შორის ნათქვამი და თავისის დასკვნის თვითვე მაჩვენებელი, აქავე დავტოვოთ და ჩვენ-კი აღვიდეთ მის დაშთომილისა სიტყვისა მიმართ. დიაღ, ჩამოვრჩი ქვეყანას, „ნედოიმკები“ წამომაწვა და დღევანდელი ჩემი „წკიპურტი“ ამ „ნედოიმკების“ გასწორებას უნდა მოვანდომო. ჯერ ერთი, თელაველის ქალების ვალი მმართებს, მეორე — ჩვენის ორის გაზეთის დევგმირებმა „კვალი“-ს რიგოლეტომა და „ცნობის ფურცლის“ მეპრესსემ ჩემკენ მათრახები გადმოიქნიეს და გაკენწვლას მიპირებენ, მესამე... მაგრამ დღეს ესეც კმარა.

* *

რიგოლეტო, ეს ენა-ბრკუ დევგმირი „კვალისა“, წარსულ კვირის „პანწკებში“ [1]) უფალს შესთხოვს:

„პატივი „ივერიის“ „მეწკიპურტე ჩიორასაც“, რამეთუ არა კაც, არამედ ჩიორა არს, რომელმაც წარსულ კვირას განსვენებულ რაფიელ ერისთავს უძღვნა „წკიპურტი“... რას იზამ(,) ძმაო, ტვინის დუღილია, ტვინისა!

კარგია კიდევ, რომ უკანასკნელი სიტყვები მიაწერა თავისს ნაჩმახს, თორემ უამისოდ „კვალის“ მკითხველებს, ჩემის წერილის მცოდნეთ, გაუკვირდებოდათ, რას მიეთ-მოეთობს ჩვენი საბრალო „რიგოლეტო“?! თურმე ტვინის დუღილი ჰქონია საწყალს და აბა ტვინ-ადუღებულს კაცს რომ წაღმა უკუღმად ეჩვენოს, რაღა საკვირველია!.. ვინც ჩემს წარსულს წერილს წაიკითხავდა, ყველა დარწმუნდებოდა, რომ „წკიპურტი“ მიძღვნილი ჰქონდა ქართველის ერის დაბერების მღაღადებელთა და გვირგვინ-ქელეხ-ალაპებზედ ფულის უბრალოდა და უარარაოდ მფლანგველთ და არა... წარმოთქმაც მეძნელება, მეძნელება, რადგან მხოლოდ ტვინ-ადუღებული კაცი შეუსადარებს „წკიპურტსა“ და განსვენებულ მხცოვან მგოსანის სახელს ერთმანეთს.

მაგრამ დავანებოთ თავი ამ ტვინ-ადუღებულს ვაჟბატონს. კარგად ვიცნობ „რიგოლეტოს“, იგი დიდი მეგობარია ჩემ მიერ შექებულ და შედიდებულ „ცხვირის“ ავტორისა [2]) და მაჩხაანის ერთის მოღვაწისა და ხალხის გულ-შემატკივარისა, რომლის ქირისუფლობაც ქიზიყელებმა ძლივს აიცილეს თავიდგან. ვიცნობ და ამიტომ მისს სიტყვას, ვიცი, რა ფასიც სძევს... ამ გმირის ჩვენს შორის მოვლენას, თუ მარჯვე დრო შემრჩა, შემდეგ დავახასიათებ სიგრძე-სიგანით, ეხლა-კი მეორე, უფრო ბობოლა, დევ-გმირს გავუწიოთ ანგარიში, მით უმეტეს, რომ ამ ვაჟბატონის უკულმართობა ჩვენს საზოგადო სენსა და სატკივარს შეადგენს და ამ გვარად საერთო ინტერესს მოკლებული არ არის...

* *

ეს დევ-გმირი გახლავთ ჩვენი ყველას ნაცნობი, შესანიშნავი „კრიტიკოსი“ ბ-ნი... უკაცრავად, თავადი კ-ი-ტ-ა ა-ბ-ა-შ-ი-ძ-ე!.. არ გიკვირთ, მკითხველო, რომ მისი ბუმბერაზი სახელი ვახსენე და გული არ გამისკდა?!. აბა ჩესტარი გავუტაროთ ამ ვაჟბატონის, ჯერ-ჯერობით, ერთს საქციელს და მერე ვნახოთ, მართლა ბუმბერაზია იგი, თუ თვით იბუმბერაზებს თავს?!.

ეს საწკიპურტო თუ საწკიპარტო ამბავი ასე იწყება:

ბ-ნმა კიტა აბაშიძემ „ცნობის ფურცელში“ მთელი ფელეტონი უძღვნა საქართველოს „მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურას“ და, კუნსტკამერის იმ ერთის გმირისავით, დიდის ზარითა და ზეიმით მოიხსენია ბ-ნნი დეკანოზიშვილი და ზურაბიშვილი, ხოლო იმისთანა „წვრილმანები“, როგორნიც არიან გრ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი, გ. ერისთავი, რ. ერისთავი, მ. გურიელი და სხვანი, უყურადღებოდ დასტოვა. ყველას ეოცა ეს ამბავი, რადგან, აშკარაა, ვინც სათაურში საგნად იღებს იმის გამორკვევას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა „მე-XIX საუკუნეს საქართველოს ლიტერატურისათვის“, იგი საკმაოდაც უნდა მოემზადოს და არავითარი ზნეობრივი სიმართლე არა აქვს გამოსტოვოს თავისის წერილიდგან თუნდა ზემოდ დასახელებული „წვრილმანი“ მწერლები და რაღაცა ახირებულ აზრის „პესიმიზმის“ დასასურათებლად თავისი წერილი შემდეგის „ჯანღითა და ბურუსით“ აღსავსე სიტყვებით დაჰრულოს:

„ბ. ივ. ზურაბიშვილმა კაცის აზრის გაუმაძღრობის სიბავშვე და უნიადაგობა დაგვანახვა და კაცის ცხოვრების დიად მოვლენათა უბადრუკი და უმნიშვნელო მსვლელობის სატირიულ მოწმეთ დასახა კაცის აზრისგანვე შექმნილი წარმოდგენა დროისა“ [3]).

ბ-ნ კიტა აბაშიძის უცნაური წერილი და ზემოხსენებული არა ნაკლებ უცნაური და ბუნდოვანი ტირადა ყველას ეოცა, ეოცა „კვალსაც“,

---

[1]) უეჭველია, ნახატებიანი „კვალი“ შემდეგს ნომერში „მეცნიერულად“ აგვიხსნის, რას ჰნიშნავს ქართულად, თუ ქართულია, „პანწკები“ და რომელს ნაწილს საქართველოსას ეკუთვნის ეს სიტყვა, ან რომელ ლექსიკონიდგან უსესხიათ?!.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

[2]) იხ. „ივერია“ № 11, „წკიპურტი“.

[3]) „ცნ. ფურც.“ № 1347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილი, რომელიც ერთს ნაბეჭდს თაბახს არ უნდა აღემატებოდეს. ბ-ნს გოგებაშვილს, როგორც შევიტყეთ, ეს შრომა არ უკისრნია და თავისს მხრივ დაუსახელებია ოთხი განათლებული ქართველი, რომელთაც, მისის აზრით, შეუძლიანთ ეს შრომა იკისრონ.

⁂ გავახსენებთ ჩვენს კმითხველებს, რომ დღეს, 11 მარტს, დილის 11 საათზედ, ტფილისის სამეურნეო ბანკში დანიშნულია წლიური კრება ამა ბანკის წევრთა. ამ კრებამ რამდენიმე საყურადღებო საგანი უნდა განიხილოს და აირჩიოს ერთი დირექტორი, სარევიზიო კომისსიის წევრნი და სხვანი.

⁂ დღეს, 11 მარტს, სახალხო თეატრში, ავჭალის ქუჩაზედ წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ ქ-ნ აზიანის კომედიას „ფულსა და ხარისხს“.

⁂ როგორც ს. ამაშუკეთიდგან (შორაპნის მაზრაშია) გვატყობინებენ, 13 იანვარს ამ წლისას, მთავრობის ნებართვით სასოფლო სამკითხველო და წიგნთ-საცავი გაუხსნიათ. დამაარსებელნი სამკითხველოსი მიჰმართავენ ყველა ქართველს გულშემატკივარს—თვისი წვლილი წიგნებით თუ ფულით არ დაიშურონ.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუდვია 14,800 მან. ოზურგეთის ჩაის პლანტაციაში საცხოვრებელ შენობათა ასაგებად.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, გასულ წლის ნოემბერს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზედ კანდიდატებად არჩეულ იქმნენ თავადნი ს. გ. წერეთელი და ნ. ყ. თავდგირიძე. ეს არჩევნები შინაგან საქმეთა მინისტრს კანონიერად ვერ უცვნია, რადგანაც კენჭის ყრის დროს წევრთა თანაბარი რიცხვი არა ყოფილა, როგორც ამას კანონი მოითხოვს. ამისათვის ახალი არჩევნები დანიშნულია 24 აპრილისათვის („ახ. მიმ.“).

⁂ როგორც „ცნ. ფურ.“-ს ატყობინებენ, ქალაქის მოურავის არჩევანები ქუთაისში 26 მარტისათვის დაუნიშნიათ.

⁂ მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუდვია 600 მან. ამა მიმდინარე წლისთვის ტფილისის საბოტანიკო ბაღის პრაქტიკანტ-მებაღეთა შესანახად.

⁂ საგუბერნიო მთავრობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ სასოფლო ქსენონი ეკატერინენფელდის ახალშენიდგან ბორჩალოს მაზრის სხვა უფრო შუაგულ ადგილას იქმნას გადატანილი.

⁂ ახლად დაარსებულ „ფრანგთა ამხანაგობას“ გაუზრახავს კავკასიაში კონიაკის ქარხნებას გამართვა. საზოგადოებას აზრადა აქვს ასეთი ქარხნები გამართოს: ქ. ერევანსა, სოფელ კამარლოსა (ერევ. გუბ.), ქალაქ ყიზლიარსა, ტფილისსა, სოფ. ხალვარადსა და აღდაშში (შუშის მაზრა).

⁂ სასანიტარო სამკურნალო საბჭოს განუხილავს და მოუწონებია ახალ სავალდებულო დადგენილებათა პროექტი. ეს დადგენილებანი შეეხება იმ სადგომებს, რომლებსაც ქირით აძლევენ მდგმურებს, მუშათა არტელებს, აგრეთვე მუშათა სადგომებს, ღამის თავშესაფარებს სამრეცხაოებს და სხვას.

⁂ კავკავში დაარსებულ იქმნა საგამოფენო კომიტეტი, რომელიც უნდა დაეხმაროს თერგის ოლქის მცხოვრებთ კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

⁂ როგორც გაზეთ ,,კავკ.''-ს ატყობინებენ, აზრადა აქვთ თურმე ალაზნის ველზედ იმ ადგილებში, სადაც ჭაობებია, რამდნიმე არხი გაიყვანონ ალაზანში ამ ჭაობების დასაშრობად. ამ ცოტა ხანში საქობოსა, ანაგასა და ვაქირიდგან ხალხი იქმნება გაყვანილი სამუშაოდ.

⁂ ს. მათხოჯა, (ქუთ. მაზრა). კვირას, 4 მარტს, მათხოჯის წმინდა ბასილის ეკკლესიის მღვდელმა მამა ნ. ბარამაძემ აუწყა ხალხს გარდაცვალება განსვენებულის თ. რაფიელ ერისთავისა და რამდენიმე სიტყვით გააცნო ხალხს, თუ რაფიელ ერისთავს რა მოღვაწეობა მიუძღვის, რამაც დიდი გავლენა იქონია ხალხზედ. სიტყვის შემდეგ განსვენებულის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი იქმნა გადახდილი, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

⁂ ს. ოცხანა, (გურია), კვირას, 25 თებერვალს, ადგილობრივმა მღვდელმა მ. გრიგოლ ღლონტმა დიდ-ძალის საზოგადოების თანადასწრებით განსვენებულის მხცოვანის პოეტის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გარდაიხადა. პანაშვიდის დაწყებამდე ადგილობრივმა მასწავლებელმა დამსწრე საზოგადოებას განსვენებულის პოეტის ცხოვრება და მნიშვნელობა განუმარტა. პანაშვიდზედ სკოლის მოწაფეები გალობდნენ.

⁂ ტფილისის მაზრის ზოგიერთ ადგილში გავრცელებული საქონლის ჭირი უკვე მოისპო.

⁂ საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი გაგზავნილ იქმნა ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებთათვის სამკურნალო შემწეობის აღმოსაჩენად.

⁂ როგორც ყარსიდგან გვატყობინებენ, 5 მარტს ტფილისიდგან მომავალ საქონლის მატარებელს № 75 გზაში დაუგვიანია და ყარსში 7 საათით და 12 წუთით გვიან მისულა. დაგვიანების მიზეზი ზვავი ყოფილა, რომელიც ყარსის შტოს მე-167 ვერსზედ ჩამოწვა.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის უფროსის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ეკატერინის რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლის უფროსის თანაშემწე ა. მ. ბულგაკოვი.

⁂ როგორც ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექციის წლიურ ანგარიშიდგანა სჩანს, გასულ 1900 წელს ტფილისში 118 კაცი გამხდარა სახადით ავად, ყვავილით—35, წითელათი—157, ყელ ჭირვებით—304, ხუნაგით—65, ყბაყურათი—12, ხველით—4, კატუჭარით—3, ციმბირის სენით—1, ქარის ყვავილით—4, ჭლექით—8 და წითელი ქარით—7, სულ გადამდებ სენით ავად გამხდარა 718 კაცი, რომელთაგან 119 მამა-კაცი ყოფილა, 59 დედა-კაცი და 540 ბავშვი. ავადმყოფთაგან 15 კაცი მდიდარი ყოფილა, 271 შეძლებული და 432 ღარიბი. სახლში იკურნებოდა—377 ავადმყოფი და საავადმყოფოში—341. ყველაზედ მეტი რიცხვი იანვარში გამხდარა ავად (114) და მარტში (110), ყველაზედ მცირე აგვისტოს (7) და ივლისში (17).

◆

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

დუშეთი, 4 თებერვალი. დღეს გაიხსნა და აკურთხეს, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, დუშეთის სამრევლო-საეკკლესიო დედათა სკოლა.

თუ რომ სახეში ვქონიებთ ჩვენს მხარეში სკოლების უქონლობისა გამო სწავლა-განათლების საქმის დაქვეითებას საზოგადოდ, ხოლო დედათა სქესისას განსაკუთრებით, რადგანაც [illegible] სკოლა პირველი და ერთად-ერთი სკოლაა მთელს ამ მხარეში, მაშინ ადვილად გასაგები იქნება ის, თუ ამ სკოლის გახსნისა გამო დუშელები რა უსაზღვროდ უნდა ყოფილიყვნენ გახარებულნი. რამდენადაც თვითონ ამ სკოლის დაარსება სასიამოვნო, იმდენადვე საყურადღებოა ამ საქმის დაწყებისა და დაგვირგვინების ამბავი; იგი აშკარად ამტკიცებს, რომ თუ გული გულობს კეთილი საქმისათვის ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზი იძლევა და საქმე განხორციელდება.

ჯერ ისევ 14 აპრილს 1896 წელს, როდესაც პირველად საეკკლესიო სამზრუნველო დაწესდა, აქაურის ეკკლესიის ახლად დაარსებულმა სამზრუნველომ ადგილობრივის მღვდლის მ. დ. მეტრეველის წინადადებით, მიიღო რა მხედველობაში დედათა სკოლის დაარსების აუცილებელი საჭიროება და ეკკლესიის კრებულისათვის სახლის უქონლობა, ჯეროვანის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ მისთვის განზრახულის სკოლის მოსათავსებლად და კრებულისათვის უწინ საინჟინერო უწყების ხელში მყოფი რამდენიმე დაძველებული და თავ-მინებებული შენობა დაეთმო დუშეთში. სკოლისათვის შენობის დათმობას საინჟინერო უწყება დასთანხმდა, ხოლო კრებულისათვის-კი უარი უთხრა. მაგრამ ზოგიერთა უკუღმართ ადამიანის მეოხებით საქმე ბოლოს ისე დატრიალდა, რომ სკოლისათვის დათმობილი შენობა საინჟინერო უწყებას უნდა დაენგრია და მასალა სამ თუმნად გაეყიდნა. ამ რიგად მომავალი სკოლა უსახლოდა რჩებოდა...

ამის გამო ბ-ნმა მაზრის მარშალმა გ. ა. ყარანგოზიშვილმა საეკკლესიო სამზრუნველოსა და უფრო-კი მამა დ. მეტრეველის თხოვნით თავი გამოიდო და კვლავ აღძრა შუამდგომლობა, რომ ქ

რომელმაც, ამოიწერა რა ეს სიტყვები, დასძინა:

„მართალია, აქედან ხორციელი კაცი ვერ მიხვდება, თუ რა დაგვანახვა ბ. ზურაბიშვილმა, მაგრამ რადაც „დიდი რამ“ რომ დაუნახვებია, ეს კი ცხადია, მხოლოდ სად, როდის, რომელ ქვეყანაში—ეს დღემდის საიდუმლოებით მოცულია“-ო[4].

დიაღ, ეოცა „კვალს“ და სამართლიანადაც, რადგან, მართლაც, ძნელია „ხორციელის კაცისათვის“ ამ სიტყვების აბდა-უბდად აშენებულ ხუხულადგან რაიმე აზრის გამორკვევა. დარწმუნებულნი ვართ, რომ, არამც თუ სხვა, გარეშე, თვით ბ-ნი ივანე ზურაბიშვილიც, რომელსაც მიძღვნილი აქვს ეს ახირებული ტირადა, ვერას გაიგებდა და გაიოცებდა,—ბიჭოს, ეს რა დიდი ვინმე ვყოფილვარ, მეც არ ვიცოდი!.. ეს რა ამბავი დამინახვებია ჩვენის „გამოჩენილის“ კრიტიკოსისათვისაო?!. რომ ეს სიტყვები მართალია, რაკი ბ-ნ კიტა აბაშიძეს სხვათა აზრი დიდად სწამს და ამ აზრთა შეკრებაც ნაკისრი აქვს,—ჩვენც მივმართავთ „ცნ. ფურცლის“ მკითხველებს და ვთხოვთ: ვინც ბ-ნ კიტა აბაშიძის ამ ნისლ-ბურუსიანს ტირადას, ბ-ნ ივ. ზურაბიშვილის მიმართ მიძღვნილს, აზრი და თავი და ბოლო გაუგო, გვაცნობოს წერილით და მისს გამომცნობს ჯილდოდ ვპირდებით ჩვენის შესანიშნავის კრიტიკოსის თხზულებათა სრულს კრებულს, რომელსაც მისგან მადლობელ ყოფილი „ცნობის ფურცელი“ უეჭველია ამ ახლო ხანებში დასტამბავს ჩვენთა შვილიშვილთა გულის ხმასა შინა შთასაგდებად.

ჰო, მრავალს ეოცა მართლა გასაოცარი „მე-XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის“ და, მრავალთან ერთად, ეოცა ბ-ნს დუტუ მეგრელსაც. მან, აღნიშნა რა ბ ნ კიტა აბაშიძის წერილის ცალ-მხრივობა, სთქვა, რომ საჭიროა ამ საუკუნის მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერილობანი შევადგინოთ, რადგან „ამ ბოლოს დროს ჩვენში გავრცელდა, ასე ვთქვათ, დასებრივი და პირად განწყობილებაზე აშენებული კრიტიკაო“, და ასეთის კრიტიკის მაგალითად დაასახელა ბ-ნ კიტა აბაშიძის ზემოხსენებული წერილი,

,,სადაც ერთის სიტყვითაც-კი არ არიან მოხსენებულნი იმისთანა კორიფეები ჩვენის მწერლობისა, როგორიც არიან: გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი, მამია გურიელი, გ. ჰალადიდელი და ცნობილი ბელლეტრისტები: ე. რჩეულაშვილი, ლ. არდაზიანი და დ. ჭონქაძე, შემქმნელნი ქართულის მოთხრობისა მე-XIX საუკ., მაშინ როდესაც ბ-ნთ დეკანოზიშვილსა და ზურაბიშვილს მთელს ტირადებს უძღვნის ავტორიო''[5].

ბ-ნ დუტუ მეგრელის სამართლიანს წერილს, რომელსაც სათაურად ეწერა „ხმა შორიდგან“, ბ-ნმა კიტა აბაშიძემ უძღვნა წერილი „ხმა ახლოდგან“, რომელშიაც კუდზედ ფეხდადგმულ ციცასავით მწვიტინი დაიწყო და სწორედ არა-საკადრისის ლექსიკონით შეამკო ბ-ნი დუტუ მეგრელი, თან უკიჟინა და ასწავა, რომ „აზრს აზრითა და საბუთებით უნდა ეომოთო“. იმის ნაცვლად, რომ ეს გონიერი რჩევა თითონ ბ-ნს კიტა აბაშიძეს გამოეყენებინა, აი რა სიტყვები შეჰკაზმა მან ბ ნ დუტუ მეგრელის წინაამდეგ:

„ბ. დუტუ მეგრელი თავისებურად და ქართველურად აბდა-უბდას მიედ-მოედვა“...

„ბ. დუტუ მეგრელისთანა ვაჟბატონებისათვის ადვილია ყოველი კაცის რიგიანობასა და პატიოსნებაზე ეჭვი შეიტანონ, მაგრამ მაგითაც ფონს ვერ გავლენ და მათგან შექმნილის ტალახის ზელას თვითვე მოუნდებიან“.

„მხოლოდ ქორიკანაობის მოყვარულ ჩვენს საზოგადოებაში არის შესაძლო დაუსჯელად ისეთის ველურისა და მხეცურის (მშვენიერებაა განა?!) აზრის წამოროშვა“.

„მისი ნაწარმოები (ბ-ნ დუტუ მეგრელისა)... ლაპარაკის ღირსადაც არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ მისი ლიტერატურული ზნე და ხასიათი ვიცი (?)... არ მიმაჩნია (იგი) ნიჭიერ და ორგინალურ მწერლად. ბ. დუტუ მეგრელის ნაწარმოები ე. ნინოშვილის ტიპის ძლიერ სუსტი და მქრალი წარმომადგენელია და მათი მიბაძვაა“.

„რაიცა შეეხება ორბელიანებს და გ. ერისთავს, მე მგონი მათ შესახებ მე ძალიან ბევრი მიწერია, თუ კი რამე „ყრია“ (გაიგონეთ!) ხეირიანი ამ ნაწერებში.

„მუხლ-მოდრეკილი რომ ვეხვეწო (,) არც მ. დეკანოზიშვილი და არც ბ. ზურაბიშვილი არც ერთს ბ. დუტუ მეგრელის „თხზულებას“ ხელს არ მოაწერენ.

„სასაცილოა და საბრალულის აღმძვრელი... თუ ავადმყოფური თავ-მოყვარეობა უნიჭოსა და უმნიშვნელო არსებას დასჩემდა“...

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს ჩემ მიერ საგანგებოდ ამოწერილი „მარგალიტები“? ბ-ნმა კიტა აბაშიძემ ნამდვილი ლიტერატურული კიტ კიტიჩობა გამოიჩინა და, იმას გარდა, რომ ჩვენს საზოგადოებას „ქორიკანა“ უწოდა და თავისი თავიც გაიწკეპლა გოგოლის „უნტერაფიცერის“ ცოლსავით, თვით ბ-ნს დუტუ მეგრელს სწორედ თავზედ ლაფი გადაასხა. სწორე მოგახსენოთ, შემზარა ასეთმა კილოზრდილობიანმა წერილმა და მართლაც ახირებულმა და დაურიდებელმა სიტყვის სროლამ ბ-ნ კიტა აბაშიძისამ, მეც მეოცა და ჩემს წინანდელს „წკიპურტში“ ორიოდე სიტყვით აღვნიშნე იგი:

„ერთის წკიპურტისავე ღირსია ბ-ნ კიტა აბაშიძის მეტად, მეტის-მეტად, უღმატებულესად „ზრდილობიანი“ წერილი“-მეთქი.

აღვნიშნე ასე, რადგან ამ კილოთი წერა სენად აქვთ დაყოლილი და დაჩემებული ჩვენს ახალგაზდა და მამლაყინწა მწერლებს და მათ შორის ბ ნს კიტა აბაშიძეს, ვგონებ, პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. სამარცხვინოა, მართლაც, როდესაც ადამიანი, იმავე ბ-ნ კიტა აბაშიძისა არ იყოს, აზრს გინებითა და ლანძღვით, სწორედ მოედანზედ სახმარებელ ლექსთა კონით გაუმკლავდება და ამითი მკითხველის ყურსა და სმენას აღუხჭირებს, აუსიამოვნებს. რაც ჩქარა მოისპობა ჩვენში ეს „ლიტერატურული ზნე“, მით უკეთესია, და ბ-ნი კიტა აბაშიძეც, თუ ჭეშმარიტად უნდა კრიტიკოსობა გასწიოს, სწორედ ამ „ზნეს“ უნდა გაუმკლავდეს და გაუმკლავდეს მართებულად, სუსხიანის სიტყვა-პასუხით და არა ლანძღვა-თრევითა და გინებით. მხმარებელი ისეთის საპოლემიკო ფარხმალისა, როგორიც ლანძღვა-გინებაა და ადამიანის პირადობის გათახსირება, ვერასოდეს ფონს ვერ გავა და და არამც თუ მეტოქეს ვერ დაამცირებს მკითხველთა წინაშე, არამედ, პირ-იქით, თანამგრძნობელთ მოუპოვებს, თუნდა მისი მეტოქე შემცდარს აზრსაც იცავდეს.

ამ შემთხვევაშიაც სწორედ ასე მოხდა. ბ-ნ კიტა აბაშიძის ჩემ მიერ „ყბად აღებულს“ წერილს შედეგად ის მოჰყვა, რომ მრავალმა იუცხოვა მისი უცნაური სიტყვა-პასუხი და ბ-ნს დუტუ მეგრელს მიემხრნენ, მით უმეტეს, რომ მისი აზრი ღირსიც იყო ასეთის მომხრეობისა. ბ-ნ კიტა აბაშიძის „ლიტერატურულმა კილომ“, ასე წარმოიდგინეთ, თვით „ცნობის ფურცლის“ რედაქციის თანაგრძნობაც ვერ გამოიწვია, იმ რედაქციისა, რომელშიაც ბ-ნს კიტა აბაშიძეს ისე მკვიდრადა აქვს ბუდე-ბუნაგი გაკეთებული და რომელმაც მისს ამ უცნაურ-კილოიანს წერილს მიაწერა: „წერილი რედაქციის მიმართო“, ვითომ და ჩვენ აქ არაფერს შუაში ვართ და ამისი სრული პასუხის-მგებელი ბ-ნი კიტა აბაშიძეა და არა რედაქციაო.

მაგრამ ეს თავიდგან ბოლომდე დუბჭირი ამბავი ამითი არა თავდება. მოსალოდნელი იყო, რომ „ცნო-

---

[4] „კვალი“ № 3.

[5] იხ. „ივერია“ № 27.

სხლი, ზოგიერთების უკეთურ სურვილის მიუხედავად, არ დაენგრიათ და მომავლის სკოლისათვის დაეთმოთ. ეს საქმე ბ-ნმა ყარანგოზიშვილმა უმაღლეს საინჟინერო საბჭომდე მიიყვანა და ბოლოს საქმე სკოლის სასარგებლოდ გადაწყდა.

შემდეგ შესდგა კომიტეტი მაზრის მკურნალის ბ-ნის ს. ო. იაშვილის თაოსნობით შენობის გადასაკეთებლად შეწირულობის მოსაგროვებლად. შეწირულობის გარდა 500 მან. საეპარქიო საბჭომაც გადასდო; ამ ფულით შენობა შეაკეთეს და სკოლა თავისის მოწყობილობით, რომელიც აგრეთვე საეპარქიო საბჭომ გამოუგზავნა, დღევანდელი რიცხვისათვის მზად იყო. ამ ხარჯს გარდა საეპარქიო საბჭომვე იკისრა მასწავლებელი-ქალის ჯამაგირიც; რაკი სახლითა და მასწავლებლის ჯამაგირით სკოლა უზრუნველ ყოფილა, — თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ იგი მკვიდრს ნიადაგზეა დამყარებული. პირველსავე დღეს სკოლაში მიღებულ იქმნა სამოცამდე მოსწავლე ქალი. სკოლას ფულით დახმარება გაუწიეს, სხვათა შორის, მისმა საპატიო მზრუნველმა ქ-ნმა ე. ი. ჭილაშვილისამ (50 მანეთით) და ადგილობრივის ბატალიონის აფიცრებმა (45 მანეთით).

კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო. რადგანაც ბ-ნი მაზრის მარშალი და სკოლების უფროსი მამა ვოსტორგოვი კურთხევას არ დაესწრებიან, ამათ და აგრეთვე გენერალმა ჭილაშვილმა სკოლის დაარსება დეპეშით მიულოცეს.

შემდეგ გაიმართა საზოგადო სადილი ხელის მოწერით შეგროვილის ფულითა და, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია, ამ კეთილისა და სასიხარულო საქმის ცუდი მხარეც სწორედ ეს სადილი იყო. ფულის მოგროვების დროს ზოგიერთები, ე. ი. უმცირესობა, იმ აზრისა იყო, რომ ეს ფული (სულ 75 მანეთამდე) სკოლის სასარგებლოდ დარჩენილიყო და სადილი არ გაემართათ, მაგრამ უმრავლესობა სადილის მომხრე აღმოჩნდა და კუჭის საქმემ გაიმარჯვა...

ჩვენც ამის გამო კარგი ქეიფი გავწიეთ, ჩვენებურად, ძველებურად მოვილხინეთ და თასით ხელში დავლოცეთ ეს ნორჩი სკოლა, თუმცა სადილზედ დახარჯული 75 მანეთი სკოლის არა მცირედს ნაკლს დაჰფარავდა!

ხ.

ს. ასკანა. 4 მარტს ასკანის სკოლის დარბაზში შესდგა კრება ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისა, რომელსაც განსახილველად ჰქონდა შემდეგი საგნები:

ა) განხილვა და დამტკიცება 1900 წლის ანგარიშისა, ბ) შეცვლა არსებულის წესდებისა ახალის წესდებით, გ) მომატება საწევრო ფულისა ორმოცდაათ მანეთამდე, დ) არჩევანი საბჭოს წევრთა, ნაცვლად რიგით სამსახურიდგან გამომსვლელთა, ე) არჩევანი გამგეობის წევრთა, ნაცვლად რიგით სამსახურიდგან გამომსვლელთა, ვ) გამორიცხვა ზოგიერთ წევრებისა, თანახმად თხოვნისა, და გარდაცვალებულთა, ზ) მიღება ახალის წევრებისა, ჱ) არჩევანი სარევიზიო კომისიისა, თ) საბჭოს მოხსენება და ი) ვადაზედ შემოუტანელ სესხზედ ჯარიმის შემოღება. კრებამ, რომელსაც ორასზე მეტი წევრი დაესწრო და ერთი ამდენი არა წევრნი, ს. ჭ. თავმჯდომარეობით დაადგინა:

ა) 1900 წლის ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას წლის განმავლობაში სულ 29046 მ. და 25 კ. დაუტრიალებია, ამათგან შემოსავალი, გადმოტანილი 1 იანვრისათვის 1900 წლისა, 8912 მ. 40 კ. 1900 წლის განმავლობაში შემოსული: წილის ფული 240 მან., სარგებელი 1035 მან. 2 კ., დაბრუნებული სესხი 17,660 მან. და 50 კ., შესანახად შემოტანილი ფული 821 მან. და 45 კ., სათადარიგო თანხა 76 მან. და 46 კ., სხვა-და-სხვა ფული 32 მან. და 42 კაპ., გადასარიცხავი წილის ფული 268 მან. გასავალი: სესხათ 1 იანვრისთვის 1900 წლისა 8612 მან., ნაღდ ფულად 300 მან , 40 კ., 1900 წელს სესხად გაცემული 18,365 მან., საწევრო ფული გაუტანიათ 269 მან., მოსაკებად გაუციათ 535 მან. 83 კ., სარგებელი ვადამდე შემოტანილი ფულისა 14 მან. და 61 კ., შესანახად შემოტანილი ფული 549 მან. 90 კ., იმისი სარგებელი 31 მან. 46 კ. გამგეობის ჯამაგირი 20% წმინდა მოგებიდგან 189 მან. 86 კ., სხვა-და-სხვა ფული 1 მან. და 53 კ., გადასარიცხავი 274 მან. 26 კ.

პირველ იანვრისათვის ამხანაგობას აქვს: წილის ფული 7261 მან., შესანახად შემოტანილი ფული 873 მან. და 31 კ., სათადარიგო თანხა 220 მან. 48 კ., გასარიცხავი წილის ფული 198 მან., მოსაკები 966 მან. 51 კ. და სულ 9,579 მან. და 30 კ. ამათში სესხათ არის წევრებზედ გაცემული 9316 მან. და 50 კ., ნაღდ ფულად კასაში 202 მან. 80 კ.—კრებამ ყოველივე ეს სცნო ჯეროვნად და დაამტკიცა; ბ) მიიღო ნაცვლად არსებულისა—ახალი, მე-17 გამოცემა წესდებისა; გ) საწევრო ფული 25 მან. 50 მანეთამდე მოუმატა; დ) საბჭოს წევრებათ განმეორებით არჩეულ იქმნენ ს. ჭეიშვილი, დ. შევარდნაძე და ან. ჩხაიძე; ე) გამგეობის წევრებათ არჩეულ იქმნენ: სევერიანე ბახტაძე, მიხეილ შარაშიძე და ლუკა შევარდნაძე; ვ) გამორიცხა, თანახმად სურვილისა, ხუთი წევრი და ოთხიც გარდაცვალებული; ზ) ახალი წევრების მიღება დაევალა საბჭოს წევრებს, ვიდრე საზოგადო კრება მოხდებოდეს; ჱ) სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქმნენ: ეფრემ, ნიკიტა და გასპარიონ თალაკვაძენი და დომენტი ჩხაიძე; თ) საბჭოს წევრთა მოხსენება ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ მიღებულ იქმნა; ი) ვინც დანიშნულს დროს ფულის შემოტანას გადააცილებს, დაწესდა, თვეში ერთი კაპეიკი ჯარიმა გარდახდეს მანეთზედ.

კრება სადამოს რვა საათზედ დაიშალა.

დამსწრე

დამაკვირდი

მოხვეჭა სიმდიდრისა უფრო ადვილია, ვიდრე გონიერად გაფრთხილება მისი.

სირუს

* * *

ჭეშმარიტი სიმდიდრე ქონების სიდიდე-კი არ არის, არამედ მისი გონიერი მოხმარებაა.

ნაპოლეონი

* * *

ოქროს ტყვია ყოველთვის ნიშანში მოგა ხოლმე.

დურინგსფელდ

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 მარტი.

ტიანძინი. ბრიტანიის საზღვაო ჯარის კაცნი და რუსეთის ჯარისკაცნი სადავო მიწა წყალზედ ჯერ ისევ ერთმანერთის პირდაპირ დგანან. საფრანგეთის ოფიცრებმა განაცხადეს, რომ დიდი სურვილი აქვთ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ყოველივე უკმაყოფილება მოსპობილ იქმნეს. გენერალი ვუარონი დღესვე ტიანძინს წავა და უთუოდ გამოძიებას დაჰნიშნავს, რომელსაც ინგლისის ოფიცრების მოქმედებით შეურაცხყოფისა გამო გენერალი ბარროუ თხოულობს.

პეკინი. ბჭობაზედ, რომელსაც ვალდერზეეც დაესწრო, გენერლებმა ბარროუმა და ბოგაკმა დაადგინეს, რომ ინგლისისა და რუსეთის ჯარები 8 მარტს, დილის 5 საათზედ იქმნენ გაყვანილნი სადავო ადგილიდგან ტიანძინის მახლობლად და რკინის გზის ლიანდაგის გასაყვანად დაწყებული მუშაობა შეწყვეტილ იქმნეს იმ დრომდე, სანამ საქმე დიპლომატიურის საშუალებით გადასწყდებოდეს.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ლანსდოუნმა განაცხადა, რომ რუსეთისა და ინგლისის მთავრობამ პირობა შეჰკრეს მიუწერონ ჯარებს ტიანძინში, რომ სადავო ადგილს განშორდნენ, ხოლო რაც შეეხება საკუთრების უფლების გარდაწყვეტას, იგი მიენდოს ორსავე მთავრობას.

ლონდონი. ლორდთა პალატა. სპენსერი დაეკითხა ლანსდოუნს, არ შეგიძლიანთ ტიანძინში ატეხილ დავის შესახებ გვაცნობოთ რამეო? „სიხარულით შემიძლიან გაცნობოთ,—უპასუხა ლანსდოუნმა,—რაც დღეს, დილით, პეტერბურგში მყოფმა ჩვენმა ელჩმა შეგვატყობინა: გრაფს ლამსდორფს უთხოვნია მისთვის დაუყოვნებლივ აცნობოს ინგლისის მთავრობას, რომ სადავო საგანი მესაკუთრეობის უფლების შესახებ ორსავე მთავრობას მიენდოს განსახილველად და ჯარები ორთავე მხრივ ამ ადგილიდგან ახლავე გაყვანილ იქმნენ, რომ იმ დრომდე ერთმანეთთან შეტაკება არ მოუხდეთ. გრაფმა ლამსდორფმა დასძინა ამასთანავე, რომ, თუ ინგლისის მთავრობა წინადადებას მიიღებს, რუსეთის სამხედრო მინისტრი ამ აზრით საჭირო დაწვრილებითს ინსტრუქციასაც გაუგზავნის დეპეშით. დასასრულ, მინისტრმა სურვილი განაცხადა, რომ

ბის ფურცლის“ რედაქცია თანაგრძნობით მიეგებებოდა ჩემს, ჩიორას, ზემოდ ამოწერილს სამიოდე სიტყვას, რომელიც ბ-ნ კიტა აბაშიძის წერილს ვუძღვენი, და რომლის სამართლიანობაც აშკარაა ყველასათვის, მით უმეტეს, რომ თვით ამ რედაქციამ მიაწერა თავისს „თანამშრომლის“, როგორც თვით უწოდებს, წერილს: „წერილი რედაქციის მიმართ“. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც ამ გაზეთის „მეპრესსემ“, რომლის ქართულის ცოდნა ამას წინად ცხად-ვყავით, ასეთი მათრახი გამოიქნია ჩვენკენ:

,,ითარეშოს ბ. დუტუ მეგრელმა... ღირსეული დამცველი აღმოუჩნდა იქ (,,ივერიის'' ფურცლებზედ): ,,წკიპურტების'' ავტორი ,,ჩიორაო''.

ვითომ რა მინდაო? რა და ისა, რომ რაც ალხანაა, ის ჩალხანაო. ბ-ნ დუტუ მეგრელისთანა ალხანასთან სიამოვნებით ვკისრულობ ჩალხანობას, მაგრამ ვკითხოთ ერთი ახლა „ცნ. ფურცლის“ მეპრესსეს: ვინ თარეშობს, ბ-ნი დუტუ მეგრელი, თუ „ცნ. ფურცლის“ „თანამშრომელი“ და მისი თავ-მოსაწონებელი ბ-ნი კიტა აბაშიძე? ვისა სჭირია დამცველი, პირველს, თუ მეორეს, და ვინ ვისი „ღირსეული“ დამცველია, იგი, „მეპრესსე“, ბ-ნ კიტა აბაშიძისა, თუ მე, ჩიორა, დუტუ მეგრელისა?!. ვკითხოთ ეს და პასუხს ნუღარ მოვუცდით, რადგან, თუ მართალი სამართალი ჰქმნეს, ამ პასუხს ჩემი და მისი განმსჯელი მკითხველი ადრევე ადვილად მიხვდება.

* *

მგონი ამითი მოვრჩი „ნედოიმკებს“ და... მაგრამ, უკაცრავად, თელაველი ქალები და მათი ვექილი, მტერსამც დავიწყებიათ, მთლად გადამავიწყდნენ. დავპირდი ქალებს წერილების დაბეჭდვას და, მეტი რა ღონეა, უნდა ავასრულო, ნათქვამია: პირობა კაცს ცოლსაც-კი წაართმევსო. მაშ, მკითხველის წინაშე ბოდიშის მოხდით, ეს ერთი ვალიც მოვიშოროთ და შემდეგ „წკიპურტისათვის“ ახალი „ხელის-ხელ საგოგმანებელი“ მასალა მოვძებნოთ.

უნდა გაგახსენოთ, რომ „თელაველმა ქალმა“ ჩემს „წკიპურტს“ პასუხი უგო და აი, რასა სწერს:

1) „რადგანაც ვექილ ჩიორას ახალ ამბათ მიაჩნია ლოტოს თამაშობა, ამიტომ ერთხელ კიდევ უნდა ვსთქვა ეს სხვებისათვის ძველის-ძველი და ჩიორასათვის-კი ახალი ამბავი, რომ თელაველი ქალები იშვიათად, მაგრამ მაინც თამაშობენ ლოტოს. დიახ, ამას ვუწოდე მე უხეირო, მაგრამ უმანკო გართობა. ამით მინდოდა მეთქვა, რომ მოქალაქეს ახალი ქვეყანა არ აღმოუჩენია, უნახავს ის, რისიც მნახავი იქმნებოდა მისი პაპა და პაპის პაპა'' *).

ვიანგარიშოთ ახლა, ეს ამბავი მართლა „ძველის-ძველია“, თუ „ახალი?“ ვთქვათ, მოქალაქე სრულწლოვანია და მისნი მშობელნიც სრულ-წლოვანნი იყვნენ, როდესაც იგი დაჰბადეს. „თელაველი ქალი“ ჰბრძანებს, რომ თელავში ლოტოს მოთამაშე ქალების მნახველი მისი პაპის-პაპაც იქმნებოდაო. ძალიან კარგი. მოქალაქე—ერთი თაობა, მისი მამა—მეორე, პაპა—მესამე, პაპის მამა—მეოთხე, პაპის პაპა—მეხუთე. თუ ამ ხუთის სრულ-წლოვანება შევაკეცეთ ერთმანეთს, ჯამი იქმნება (21×5=) 105 წელიწადი. რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, მას შემდეგ ასი წელიწადი ეხლა შესრულდა. მაშასადამე, თელაველ ქალებს, როგორცა სჩანს, ქართველ ნეტარ-ხსენებულ მეფეთა დროსაც არაფერი არ უკეთებიათ და მარტო ამითი უტარებიათ დრო:

ერთი ქალი. აბა, ქალებო! მობრძანდით, ლოტო...
არ ითამაშებ, ქალო კატატო?!.
სოროკ დვა! დასვი ე მანდა, ბაბო;
პედესეტ როვნა! მოვიგე ამბო.
მეორე. ვიიშ გენაცვა! გააჩანჩხარე,
პეტ ამოიღე და გამახარე.
მესამე. შესდესეტ ვოსემ! მოვიგე კმარა.
კინაღამ გული შემომეყარა!
მეოთხე. რა გამიხეთქა, გენაცვა, გული?
მე ორგან მქონდა ამბო დასმული.
და სხვანი.

არა მგონია, რომ „ჩვენნი დედანი—მარად ნეტარნი“ მართლა ასეთები ყოფილიყვნენ და „თელაველი ქალი“ ტყუილად ცილს არა სწამებდეს. მაგრამ ქ-ნი ვექილი, რომელმაც მეც „ვექილობა“ მიკიჟინა, ამ ცილის-წამებას არა ჰკმარობს და აი, მე, ჩიორას, რა სტრიქონებს მიძღვნის:

2) ,,ჩიორა რომ უფრო საყურადღებო საქმეს მეტის ბეჯითობით ეკიდებოდეს, ჩვენ, მკითხველებისათვის, და თვით მისთვისაც უფრო კარგი იქმნებოდა. ეს ჩემი ნათქვამი რჩევა-კი არ არის, რის უფლებაც არ მაქვს, არამედ მკითხველის თხოვნაა, რომელსაც ვერავითარი ვექილობა ვერ ჩამოართმევს მას''.

მესიამოვნა, რომ „თელაველი ქალი“ ჩემი მკითხველი ყოფილა და მადლობას მოვახსენებ, თუ თავისს ღირსეულს ყურადღებას მაქცევს; ვეცდები მისი დარიგებაც გამოვიყენო, რადგან, სულ ერთია, თელაველი ქალები მაინც თავისას არ მოიშლიან და თავისს „უხეირო, მაგრამ უმანკო გართობას“ არ ჩამოეხსნებიან. დიახ, ასე მოვიქცევი, მაგრამ ეხლა-კი მაინც ვთხოვ ქ-ნს „თელაველს ქალს“, ჩემს მშვენიერს მკითხველს, თავისთა დათა ნაუბარიც მოისმინოს, მით უმეტეს, რომ პირობა მაქვს მიცემული, დაგიბეჭდავთ-მეთქი წერილებს, და პირობის გადასვლას-კი, ვგონებ, არც „თელაველი ქალი“ მომიწონებს.

აი ერთი „ზესტაფონელი ქალი“ რასა მწერს (მართლ-წერას ყველგან წერილებისასა ვტოვებ):

ბ-ნო ,,წკიპურტის'' ავტორო! ყველა ზესტაფონელი ქალები საყვედურს გიცხადებთ იმ მუხლის ძალით, რომლითაც თქვენ ჩვენზედ ეპვი შემოიტანეთ და ცილს გვწამებთ, ვითომც ჩვენც დანარჩენი დაბა ქალაქის ქალები თელაველი ქალებივით მხოლოდ ლოტოს თამაშით ვერთობოდეთ! ღმერთმა დაგვიფაროს მაგისთანა წაბაძვიდგან!.. ,,თელაველი ქალი'' რომ გასამტყუნარია, ეს ხომ ყველასთვის ცხადია; მისი პასუხი რომ სუსტ ნიადაგზეა აღმოცენებული, ამას მკითხველი საზოგადოება ნათლად ჰხედავს, მაგრამ სხვა დანარჩენ ქალებს, საზოგადოთ ყველას რომ გაჰკარით წკიპურტი, ეს კი აღარ მოგვეწონა! ყველა მართალი და მტყუანი ნუ თუ ერთი და იგივეა? ჯერ უნდა მოიკითხოთ, თუ ყველგან თელაველი ქალებისთანა ,,ბებიიდგან დაწყებული შვილის შვილებამდე'' ლოტოს მოთამაშენი არიან, და მერმედ უნდა გამოაცხადოთ მათი გასაკიცხავი მოქმედების განაჩენი. ლოტოს თამაშზედ უკეთესი გონების გასართობი ჩვენ, ზესტაფონელ ქალებს, სამკითხველო გვაქვს, და მე ამ სტრიქონების დამწერს თამამად შემიძლიან ვთქვა, რომ ზესტაფონის ქალები განვითარების გზას დაადგნენ. დღე ისე არ გაივლის, რომ ზესტაფონის სამკითხველოშიდ ხუთი-ექვსი ქალი არ იჯდეს და გულ-მოდგინედ არ კითხულობდეს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებს და სახლშიაც არ დაჰქონდეს წიგნები საკითხავად. აქაური ქალები ყველა შეძლებისადა გვარად შრომობს, საქველ-მოქმედო სალამოებს მართვენ, წარმოდგენებს სდგამენ სხვა-და-სხვა მიზნით და ასე თუ ისე ხელს უწყობენ წინ-მსვლელობას. რაც შეეხება საზოგადო საქმეს, ყველგან თავიანთი წვლილი შეაქვთ და ცდილობენ სხვა დაბა-ქალაქებს არ ჩამორჩენ წარმატების მხრივ. სამკითხველოს ქალები უფრო მეტი ჰყავს მზრუნველი, ვიდრე კაცები: წევრებად ეწერებიან, ფულს აგროვებენ, წიგნებით შემოწირულებას არ იშურებენ და ეხლა სამკითხველოს საკუთარ სახლისთვის ზრუნვასაც-კი შეუდგნენ. მალე იმასაც ნახავთ, რომ ზესტაფონელი ქალები ,,ღარიბ სტუდენტთა'' სასარგებლოთ საზოგადოებას აარსებდეს ამავე დაბაშიდ და მით ცოტა ოდნავ მძიმე ტვირთს უმსუბუქებდეს შეუძლებელ ქართველ მოსწავლე თაობას.

ჯერ მეტი რა მოგვეთხოვება, ახალი გა-

---

*) ,,ცნ. ფურც.'' № 1386.

ეროვნული

ყოველგვარს უთანხმოებასა და უკმაყოფილებას ერიდნენ (მოწონების ხმა ისმის). „ჩვენ მაშინვე ჩვენი სრული თანხმობა გრაფს ლამსდორფს დეპეშით ვაცნობეთ, რადგანაც ჩვენი შეხედულებანი მისას სრულიად ეთანხმებიან. ამასთანავე მივწერეთ ჩვენს სამხედრო მოხელეებს, რომ ჯარი დაუყოვნებლივ გაეყვანათ და ამითი შესაძლებელი შეტაკება თავიდან აეცილებინათ. რაც შეეხება დაწვრილებითს ცნობებს, ჩემ მიერ გადმოცემულ მიწერ-მოწერიდგან, იმედია, პალატა დაინახავდა, რომ უთანხმოება და უკმაყოფილება სრულიად მოსპობილია და შეეხებოდა იგი სულ მცირე საგანს ადგილობრივის მნიშვნელობისას, რის გამოც ორის სახელმწიფოს ერთმანერთში დამოკიდებულება არ უნდა დაირღვეს“ (მოწონება).

ტიანძინი. მდგომარეობა არც ერთის მხრივ არაფრით არ იცვლება, ორივე მხარე იმასა სცდილობენ, რომ შეტაკება არ მოუხდეთ. ამ ადგილას ინგლისელებს თეთრი ჯარისა ათასამდე კაცი ჰყავთ; რუსეთის ჯარიც ბევრი არ არის.

შანხაი. სარწმუნო წყაროდგან ხმა ისმის, რომ საიმპერატორო სახლობას განზრახვა აქვს აპრილის ნახევარში სიანიანში წავიდეს, სადაც თურმე დარჩება იმ დრომდე, ვიდრე მოკავშირენი პეკინიდგან ჯარებს გაიყვანენ. ეს გარდაწყვეტილება უთუოდ იმისდა საწინააღმდეგოდ უნდა იყოს გამოწვეული, რომ უცხოელები საელჩოებს ამაგრებენ.

იოკოჰამა. ზედა პალატამ ხარჯთ-აღრიცხვის ერთი ნაწილი უარ-ჰყო. დროებით ორთავე პალატამ სხდომები შესწყვიტეს. კორეაში კრიზისი უკვე გათავებულია. ერთს მოხელეს თავი მოჰკვეთეს.

პეკინი. ელჩების მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა; ყველა საგნების შესახებ ერთმანერთს ეთანხმებიან, გარდა ორის მუხლისა, სახელდობრ პეკინსა და ზღვას შუა მისავალ გზის დაცვისა და სიმაგრეების დაქცევის შესახებ. რადგანაც ეს საგნები სრულიად სამხედრო ხასიათისანნი არიან, ამიტომ ამათ გენერლები გარდასწყვეტენ და თავიანთს გარდაწყვეტილებას შემდეგ ელჩებს აუწყებენ.

ლონდონი. ბურებთან სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ საბუთის ქაღალდები პარლამენტში იქმნენ წარდგენილნი. როგორც ამ პირობებიდგანა სჩანს, რომლებიც ბოტამ უარჰყო, ინგლისელები დაჰპირებიან: როგორც-კი ბურების ყველა რაზმები მორჩილებას განაცხადებენ, ინგლისის მთავრობა ტრანსვაალისა და ორანჟეს ახალშენის მცხოვრებთ მაშინვე ამნისტიას (თავისუფლებას) მიანიჭებს, მაგრამ ინგლისელების შესახებ, რომლებიც ნატალიდგანა და კაპის ახალშენიდგან არიან, მოიქცევა ისრე, როგორც ამას ომიანობისათვის შემუშავებული, განსაკუთრებული კანონები მოითხოვს. ტყვე-ბურები, რომლებიც ამ ჟამად წმ. ელენესა და ცეილონის კუნძულზედ არიან დასახლებულნი, სამშობლოში იქმნებიან გაგზავნილნი. დღევანდელი სამხედრო მმართველობა საახალშენო მმართველობით იქმნება შეცვლილი. დასასრულ, ბურებს, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელია, სრული თვითმმართველობა მიეცემათ; საეკკლესიო ქონებანი, სხვა-და-სხვა საზოგადოებათა ქონებანი და ობლების ფონდები ხელშეუხებლად დარჩებიან; ინგლისურსა და ჰოლანდიურს ენას ერთნაირი უფლებები უნდა ჰქონდეს მინიჭებული; ინგლისის მთავრობა პასუხის მგებელი არ არის იმ ვალში, რომელიც რესპუბლიკების მთავრობას აუღია, მაგრამ ინგლისი მზად არის მისცეს არა უმეტეს ერთ მილიონ გირვ. სტერლინგისა იმ ზარალის დასაფარავად, რომლის აზღვევასაც ბურები მოითხოვენ; ფერმერებს დასახმარებლად მიეცემათ სესხი იმ ზარალის შესავსებად, რომელიც ომის დროს მოჰსვლიათ; სამხედრო გარდასახადს ფერმერები არ გაიღებენ; ბურგერები, რომლებისათვისაც იარაღი საჭირო იქნება დასაცველად, ნებართვას მიიღებენ იარაღი ატარონ, თუ რომ ამისათვის ნება-დართულს მოწმობებს გამოითხოვენ და თავს სიაში ჩააწერინებენ; თუ რომ წარმომადგენლობითი მთავრობა იქმნება დაწესებული, კაფრები განსაზღვრულის ხმის უფლებას მიიღებენ; სხვა-და-სხვა ფერის მცხოვრებთა მდგომარეობაც ისე იქნება მოწყობილი, როგორც კაპის ახალშენშია.

პეკინი. დღეს, დილით, ორთავე მოდავე მხარის ჯარები სადავო ადგილიდგან გაყვანილ იქმნენ.

ლონდონი დღეს, დილით, წავიდა საგანგებო მისსია იმ აზრით, რომ მეფის ედუარდის ტახტზედ ასვლა გერმანიისა, რუსეთისა, დანიისა და შვეციის სასახლეებს აუწყოს.

კრემენჩუგი. დნეპრი გაიწმინდა, ნავოსნობა დაიწყო.

ლოძი. საკმაოდ დიდი თოვლი დასდო. სამარხილე გზაა.

გროდნო. დიდი თოვლი მოვიდა. პეტერბურგისა, ვარშავისა და სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის რკინის გზებზედ თოვლის ზვავებია; მატარებლები დიდხანს იგვიანებენ. თოვლის ქარ ბუქი არა სცხრება.

ვილნა. დიდი თოვლი მოვიდა, მარხილებით დადიან; სამი გრადუსი ყინვაა.

ნიუიორკი. შეერთებულმა შტატებმა წინადადება წარადგინეს, რომ ჩინეთმა სულ თანხად 200 მილიონი შეიტანოს, რომლიდგანაც თითოეული სახელმწიფო მიიღებს მერვედ ნაწილს; ორსა თუ სამს ერს, რომლებსაც თავის წარმომადგენელი ჰყავთ პეკინში, უფლება არა აქვთ, რომ სასყიდელი მიიღონ.

10 მარტი

პეტერბურგი. 9 მარტს, ღამე, ქალაქ სამარიდგან მოსულმა ტიტულიარნი სოვეტნიკის შვილმა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძემ ლაგოვსკიმ, რომელიც სამარის საგუბერნიო საერობო გამგეობაში ჰმსახურებს სტატისტიკოსად, უწმინდესის სინოდის ობერ პროკურორის სახლთან გავლის დროს, ლიტეინის პროსპექტზედ, ძირის სართულში განათებული ფანჯრებიდგან კაბინეტში, სადაც ამ დროს დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი პობედონოსცოვი იჯდა და ჰმეცადინეობდა, საწერ მაგიდისაკენ რევოლვერი ორჯელ დასცალა, შემდეგ ერთიც შვეიცრის ფანჯარას ესროლა, მეოთხე მოუცდა. საბედნიეროდ ბოროტ განმზრახველის მიერ ნასროლი ტყვიები ჰერს მოჰხვდა. გამოძიებას საგანგებო საქმეთა სასამართლოს გამომძიებელი კუზმინი ახდენს პეტერბურგის სამოსამართლო პალატის ბრალმდებელის მაქსიმ ვიჩის მეთვალყურეობის ქვეშ.

ბერლინი. გაზეთების სიტყვით, დეპუტატთა პალატის პრეზიდენტის მიერ ნათქვამ სიტყვის პასუხად იმპერატორს უთქვამს, თუ თავის ბოლონდელ თავგადასავლისა გამო რამდენადა სწუხს. ეტყობა აღელვებულს იმპერატორს უთქვამს: „ახალგაზდობა დაკნინებული და გახრწნილია; დღევანდელს საქმეთა მდგომარეობაში ყველა წოდებანი დამნაშავენი არიან, მთავრობის ღონისძიებათა და საშუალებათ ერთობ სასტიკად არჩევენ, ვილჰელმ I ლის გარდაცვალების შემდეგ გვირგვინისადმი პატივისცემამ თითქმის იკლო“.

სოფია როგორც ხმა დადის, კარაველოვის სახარჯთ აღრიცხვო ცვლილება შეეხება ზოგიერთა შინაურ ადმინისტრატიულ თანამდებობის გაუქმებას, გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ბეჭდვის ბიუროს დაარსებას, დიპლომატიურის წარმომადგენლობის შემოღებას ათინასა და ცეტინიეში, იქნება პარიზშიაც, მაგრამ მხედრობას ცვლილება სრულიად არ ეხება. გარდა ამისა, კასაკელოვმა წინადადება მისცა ტამბაქოზედ ახალი სესხი იქმნეს აღებული, როგორცა ჰფიქრობენ საფრანგეთის ბანკირებისაგან; სესხად 25 მილიონი იქმნება აღებული ბოლონდელ სესხის კონვერსიით.

პეკინი. 9 მარტს, დილით, ტიანძინში ორთავე მოდავე მხარემ სადავო ნაწილიდგან ჯარი გაიყვანა.

პეკინი. ის უთანხმოება, რომელიც სადავო ადგილისა გამო ტიანძინში მოუხდათ, პეკინში მყოფ რუსეთის გენერალს და ინგლისის ჯარების შტაბის უფროსის შორის პირადად მოლაპარაკებით იქმნა გათავებული. დარწმუნდნენ-რა, რომ ინგლისელების მიერ დაჭერილი ადგილი, რუსეთის რაზმის მფარველობის ქვეშ იმყოფება, დიდის ბრიტანიის სამხედრო მოხელეთ აღიარეს, რომ რუსების მიერ ჩასმული სამი ბოძი დაუკითხავად იქმნენ ამოღებულნი და მაშინვე განკარგულება მოახდინეს, რომ თავისი დარაჯი უკან გაეწვიათ და სადავო ადგილზედ მუშაობა შეეწყვიტათ, რის გამოც რუსეთის დარაჯიც განთავისუფლებულ იქმნა. სადავო ადგილის საქმე იურიდიულის შეხედულობით იქმნება მშვიდობიანად გახილული.

ჰელსინგფორსი. 13 მარტს განიხილვენ 5 თებერვალს რატგაუზის სასამართლოში მომხდარ მანიფესტაციების საქმეს. სასამართლოში პასუხი უნდა აგონ: ვაჭარმა შებლომმა, ლიტერატორმა ვენერ ლენბეკმა, ინჟინერმა ასპმა, ხუროთმოძღვარმა სონკ ანდერსინმა, კაპიტანმა მიოდემ და ფილოსოფიის მაგისტრმა მალსტემმა. მოწმედ თორმეტი კაცია მიწვეული.

ნოვგოროდი. განხილულ იქმნა საქმე ბანკის გამძარცველთა, რომელთაც ობლების თანხიდგან 25 ათასი მანეთი მოიტაცეს. ნაფიც ვექილთა განაჩენის შემდეგ, რომლითაც ბრალდებულნი დამნაშავეთ იქმნენ ცნობილნი შეღავათის აღმოუჩენლად, სასამართლომ დაადგინა: იაკობ ალექსანდროვი, ყოველგვარ უფლებათა ჩამორთმევის შემდეგ, პატიმართა განყოფილებაში იქმნეს 6 წლით მიცემული; ბორუხა ვინნიჩი — სამის წლით და იანკელ ლიაპიდუხი 5 წლით დაპატიმრებულ იქმნეს.

რომი. ხორბალსა და ფქვილზედ გარდასახადის გაუქმების შესახებ ბერტეზის მიერ წარდგენილი წინადადება პალატამ ხმის უმეტესობით უარ-ჰყო; წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკა აგრეთვე ფინანსთა მინისტრმა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. უილიამ რედმონდმა იკითხა: აქვს თუ არა მთავრობას განზრახვა ინგლის გერმანიის ხელშეკრულობის იმ მუხლისა თანახმად, რომელიც ჩინეთის მთლიანად დაცვას შეეხება, ჰკითხოს გერმანიის მთავრობას, მანჯურიაში რუსეთის მოქმედების შესახებ ხომ არაფერს აპირებსო? კრანბორნმა უპასუხა: „რუსეთის მთავრობამ მრავალჯერ განაცხადა, რომ განზრახვა აქვს ჩინეთის მთლიანობა დაიცვას და არც ინგლისის მთავრობას გაუგონია რამე იმის შესახებ, რომ რუსეთს ეს მთლიანობა დაერღვიოსო“. რედმონდმა ჰკითხა შემდეგ: ამ ბოლო ხანებში ბურების სარდლებისაგან მიიღეთ რამე პირობები, რომლითაც მათ განზრახვა აქვთ ომი შესწყვიტონ, თუ არა? ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ბოტასა და კიტჩენერს შორის მომხდარ მოლაპარაკების მეტი არავითარი პირობები არ მიგვიღიათ. ტრეველიანმა უთხრა, ინგლისის მთავრობის მიერ წარდგენილ პირობების რომელმა ნაწილმა აიძულა ბურები სამშვიდობო პირობებზე უარი ეთქვათ? ჩემბერლენმა უპასუხა, რომ არა იცის-რა გარდა იმისა, რაც დღეს პალატაში დარიგებულს მიწერ-მოწერაში მოთავსებული. კემბელ ბანნერმანმა წინადადება შეიტანა, რომ მორიგი საქმეები გადაედვათ და მსჯელობა ჰქონოდათ უფრო საყურადღებო საპოლიტიკო საქმეების შესახებ, სახელდობრ, იმ დაუდევრობისა გამო, რომელიც მთავრობამ გამოიჩინა და გამოიხატა იმითი, რომ საქმეთა გაჭირვებული მდგომარეობა არ აცნობა პალატას, რაიცა გააცნო ლორდთა პალატას. „ტიანძინში საქმეთა მდგომარეობამ მთელი ქვეყანა დიდად შეაშფოთა, — სთქვა შემდეგ ბანნერმანმა, და ეს ხალხის წარმომადგენლებმა უთუოდ კარგად უნდა იცოდნენო“. ბალფურმა უპასუხა ამის შესახებ, რომ მორიგ საქმეების გადადების წინადადება ერთობ უბრალო მიზეზისა გამო იქმნა წარდგენილი, რაიცა სხვა დროს არასოდეს არ მომხდარა. კემპბელ-ბანერმანს კითხვის მოცემა მოჰსურვებოდაო, — სთქვა ბალფურმა, — მაშინაც ასეთსავე ცნობას მიიღებდა, როგორც ზედა პალატამ მიიღო“. დიდის კამათის შემდეგ ბანნერმანის წინადადება უარ-ყოფილ იქმნა.

◆

ისყიდება ხეხილები
„შრომის“ ამხანაგობისა.
მიხეილის ქუჩა, № 101.
(10—62—2)

კვლეული გზა გვაქვს და შემდეგ კი იმედი გვექნება, რომ უფრო მეტს მძიმე უღელს დავიდგამთ და მუქთა მჭამლების რიცხვში არ ჩავეწერებით.

ზესტაფონელი ქალი.

მეორე ჩემი კორესპონდენტი-ქალი „ანიჩკა“, ზესტაფონელივე, ჰქირდავს რა თელაველს ქალებს, თვით „ზესტაფონელ ქალსაც“ ამკობს:

ბ-ნო ჩიორა! თქვენმა წერილმა, ცოტა არ იყოს, ძალიან გაგვაკვირვა: სად თელავი და სად ზესტაფონი. ბეჩა თელავის ქალებმა თუ დააშავეს რამე, ჩვენ რა შუაში ვართ? ზესტაფონის ქალები არც მაინც და მაინც საცინლად ასაგდები ვართ. მართალია, ბევრს არას ვაკეთებთ, მაგრამ... მაინც სხვებზედ ნაკლები არ გახლავართ. ჩვენში ლოტოს სრულებით არ ვთამაშობთ და არც მოგვწონს მაინც და მაინც მაგისთანა თავის გართობა. რა ჩვენი საქმეა ლოტო... თუ დრო მოგვრჩა, სასეირნოდ მივეშურებით იქით-აქეთ და, თუ გლახა ამინდია, ბანქოს ჩაუჯდებით ხოლმე. დამეთანხმებით, რომ ბანქო მართლაც უმანკო თავ-შესაქცევია, ვიდრე ულაზათო ლოტო... ვკიცხავთ თელავის ქალებს და ვურჩევთ, რომ მათაც ბანქოს თამაშს მიყონ ხელი, იმედია, მაშინ არც ის და არც ჩვენ საცინლად ასაგდები აღარ გავხდებით.

რაც შეეხება საზოგადო საქმეს, აპა რა ჩვენი საქმეა. აქ ახალგაზდა ყმაწვილი კაცებიც ბევრნი არიან, რომლებიც საზოგადო საქმისთვის შრომობენ. ჩვენ რომ მაში ჩავერიოთ, ეს ვერაფერი სასახელო იქმნება ჩვენში და მიტომაც გაყუჩებულიც ვართ... ერთი სიტყვით, სეირნობა, ცეკვა, თამაში, შინაური ვიჩერები და სხვა—, აი ჩვენი დევიზი, აი რა ვართ ჩვენ, და თქვენ კი, ბატონო ჩიორა, თელავის ქალებს შეგვადარე, ეგ არ გეკადრებათ... რაც შეეხება იჯარის აღების საქმეს სამკითხველოს სასარგებლოთ, მაგაზე ჩვენ, ქალებმა, ხმა ამოვიღეთ და ვძრახეთ კიდეც მამაკაცები, ბინძურ საქმეს ნუ კიდებთ ხელსა-თქო, მაგრამ ვინ გაგვიგონა, ასთე რომ ამ საქმეში ჩვენ არაფერი დანაშაული არ მიგვიძღვის და, თუ დააშავა რამე, ისევ მამა-კაცებმა.

ანიჩკა.

როგორც ჰხედავთ, ენა-მახვილი ჰბრძანებულა ქ-ნი ანიჩკა და ღირსეულადაც შეაქო ზესტაფონელი ქალები.

დასასრულ, ჩემს მშვენიერს მკითხველს „თელაველს ქალს“ ერთის თელაველისავე ქალის ქ-ნ ტასოს წერილს მოვახსენებ. აი, რას იწერება ქ-ნი ტასო, რომლის ოთხივ მხრიდგან წარწერებით ავსებული წერილი სამოცჯერ გადავატრიალე და თავი და ბოლო ძლივს გავუგე:

წავიკითხე ,,თელავის რამე რუმე'' ლოტოს მოთამაშეთა შესახებ. ერთი სიტყვით, სულ ერთიან შენიშნა ის, რაც რომ გაზეთში იყო, სულ ის აყალმაყალი, ის ვაი-უშველებელი... ღმერთმა ნუ ააყვანოს ორმოცდა ათი ან-უ მეტი ქალი ერთად! ნეტავი იმათ თავს, ვინც არ აკლდება ყოველ ღამე ლოტოს და ძალიან არის გაჩვეული!.. და სხ.

ვგონებ საკმარისად გამოირკვა საგანი და აგრეთვე „თელაველის ქალის“ სიმართლე, რომ „იშვიათად“ ვეტანებით ამ „უხეირო, მაგრამ უმანკო გასართობსაო“. კარგი „იშვიათი“ ყოფილა „ყოველ ღამე“ ლოტოს პარკის „ჩანჩხარი“!..

ჩიორა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Марта 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.